

140 / 3
195.6

საქართველოს
განმანათლებლო
სისტემა




ქ. ნ. ა. ნ. ე. ნ. ი

№ 5
მაისი
1956

პიონერებს აინტერესებთ თუ როგორია ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, კორეის, ვიეტნამის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო აღმშენებელი. გბეჭდავთ ამ აღმშენებლის გამოსახულებებს.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში



ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის აღამში




გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აღამში



უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში




რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში




ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში



ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში



კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღამში



მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის აღამში



ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის აღამში



კ ა ვ კ ა ვ კ ა ვ კ ა ვ კ ა ვ კ ა

№ 5

მაისი, 1956 წ.

ფილიზალი XXX

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შრომელთა შორის საბავშვო ჟურნალი

6943



საბჭოთა არმია—ხალხის არმია!

გენერალ-მაიორი გ. ხუბულაძე



გამარჯვების პარადზე კრემლთან, 1945 წლის 24 ივნისს.

დიდი პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ისინი მხურვალედ იწონებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ მეტად გავაძლიეროთ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისა და სოციალისტური სამშობლოს უშიშროების დამცველი, დიდებით მოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდნენ საბჭოთა არმიისადმი: ყოველმხრივ აძლიერებდნენ მას, აიარაღებდნენ პირველხარისხიანი საბრძოლო ტექნიკით და საბჭოთა მეომარებს სასწრაფოსადმი, ხალხისადმი ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდნენ.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა არმია სახელოვნად ამართლებდა და ამართლებს ჩვენი ხალხის ნდობას. როგორც გამათავსუფლებელმა არმიამ, მან მსოფლიოს მშრომელთა სიყვარული მოიპოვა.

1917 წელს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება და თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა წყობილება — მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაამყარეს. იმ ხანად საბჭოთა რუსეთი ერთადერთი სახელმწიფო იყო მთელ მსოფლიოში, სადაც მიწა, ფაბრიკა და ქარხანა ხალხის საკუთრებად იქცა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ვერ შეურიგდებოდნენ მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს არსებობას, შეიარაღებული ძალების საშუალებით მოინდომებდნენ საბჭოთა წყობილების დამხობას და ისევ კაპიტალისტური ხელისუფლების აღდგენას შეეცდებოდნენ. ამიტომ აუცილებელია, ამბობდა ვ. ი. ლენინი, შეიქმნას მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალები, რომლებიც შესძლებენ თავის სამშობლოსა და რევოლუციის მონაპოვარის დაცვას.

1918 წლის 28 იანვარს ლენინმა ხელი მოაწერა დადგენილებას მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ. საბჭოთა არმიის რიგებში მრავალი მუშა და გლეხი შევიდა, რათა მკერდით დაცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.



ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ საეხებით დადასტურა ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება. 1918 წლის თებერვალში ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხა იმპერიალისტური გერმანია. ჩვენი არმია გმირულად ებრძოდა მტერს: 23 თებერვალს პსკოვთან და ნარვისთან მან გაანადგურა კბილებამდე შეიარაღებული, რჩეული გერმანული დივიზიები. ჩვენი ახალგაზრდა არმიის ეს პირველი საბრძოლო ნათლობის დღე საბჭოთა არმიის დაბადების დღედ გადაიქცა. მას შემდეგ ყოველწლიურად, 23 თებერვალს, ჩვენი ხალხი საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის დღეს ზეიმობს.

მაგრამ იმპერიალისტები არ მშვიდდებოდნენ. 1918 წლის ზაფხულში ჩვენს სამშობლოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის იმპერიალისტები დაესხნენ თავს. კომუნისტური პარტიის მიწოდებით საბჭოთა ხალხი სამშობლოს დასაცავად აღსდგა. დაიწყო სამოქალაქო ომი უცხოელ ინტერვენტთა და შინა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. საბჭოთა არმიის მეომრები და მეთაურები გამებედობისა და სიამაღის განსაცვიფრებელ მაგალითებს უჩვენებდნენ. სამარადისო დიდებით შემოსეს თავიანთი სახელები ლეგენდარულმა გმირებმა და მხედართმთავრებმა: ვოროშილოვმა, ბუდიონიმ ნაპაევმა, ფრუნზემ, შორისმა, პარხომენკომ, ლანოვმ, კოტოცკიმ და სხვებმა. საბჭოთა არმიის ამ გმირულ ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი დიდი ლენინი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა არმიის ქართველი ხალხის წინაშე. 1921 წელს საბჭოთა არმიის ნაწილები დანაშრებით საქართველოს მუშებში და გლეხები განთავისუფლდნენ მენშევიკების ბატონობისაგან და საქართველოში საბჭოთა წყობილება დაამყარეს.

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებით, პარტია და საბჭოთა მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც კიდევ უფრო გაზარდეს საბჭოთა არმიის ბრძოლისუნარიანობა.

მომე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების თანმიმდევრულად გატარებულმა ლენინურმა პოლიტიკამ საშუალება მოგვცა პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით შეგვეიარაღებინა საბჭოთა არმია.

სოციალისტური მშენებლობის მშვიდობიან

წლებში კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის დერძის შესაბამისად, საბჭოთა არმია ახალი ტიპის თვითმფრინავებით, ტანკებით, არტილერიითა და სხვა საბრძოლო იარაღით აღჭურვა.

იზრდებოდნენ ჩვენი სამხედრო კადრები, იმორლებდნენ სამხედრო ოსტატობას ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო განამტკიცა ხალხთა მეგობრობა და მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის განანთიშულ ბრძოლებში საბჭოთა არმიამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია და უქცნობი დიდებით შემოსა თავისი საბრძოლო ალმები. მოპოებულ იქნა მსოფლიო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე— გერმანელ და იაპონელ ფაშისტ იმპერიალისტებზე. საბჭოთა არმიამ ამ ომში სახელოვნად დაიცვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მონობის ფაშისტურ უღელს გადაარჩინა ევროპისა და აზიის ხალხები.

სამამულო ომის ფრონტებზე ერთნაირი თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის წარმომადგენლები: არუსები, უკრაინელები, სომხები, ყაზახები, ქართველები, უზბეკები და სხვანი.

საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურს გადიან ყველა საბჭოთა ერის წარმომადგენლები. იგი ჩვენი ხალხების მსგავსად ურღვევი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით ცოცხლობს, ჩვენი არმია და ხალხი ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყოფს თავისი შეიარაღებული ძალებით.

ჩვენი კონსტიტუციაში სწერია, რომ სამშობლოს დაცვა საბჭოთა მემორის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, არმიის სამსახური კი ყველა საბჭოთა მოქალაქის საპატიო ვალდებულებაა.

საბჭოთა არმია ხალხის შობილია და იგი მშრომელი ხალხის ინტერესებისა და ოქტომბრის დიდი მონაბოვრის დამცველია. ამიტომ, რომ იგი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ არმია მასების რევოლუციური მოძრაობის, კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგაა მიმართული და უცხო ქვეყნების დაპყრობისა და დამონების იარაღია. ამიტომ, იქ ხალხს არ უყვარს

არმია, არმიასა და ხალხს შორის გადაულახავი უფესკრულია.

ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტები ცდილობენ შეაკოწიწონ აგრესიული კავშირები, წააქეზონ მსოფლიოს ხალხები ერთმანეთისა და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ საომრად, მაგრამ საბჭოთა ხალხს შეუძლია დამშვიდებით იშრომოს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. მას საიმედო დამცველი ჰყავს.


საბჭოთა არმიის მეგრძოლები განუწყვეტლივ იმაღლებენ თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, ეუფლებიან რთულ სამხედრო ტექნიკას.

გახდეს საბჭოთა არმიის მეგრძოლი — დიდი პატივია საბჭოთა ახალგაზრდისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბევრმა საშუალო სკოლადამთავრებულმა გადაწყვიტა სამხედრო სამსახურში შესულიყო, დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და საბჭოთა არმიის ოფიცერი გახდა. მათ შორის ბევრი თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც არის. ისინი კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ახლა თვითონ ზრდიან ახალგაზრდა საბჭოთა მეგრძოლებს.

ბევრი თქვენგანი თავის დროზე სამხედრო სამსახურს გაივლის, ბევრი კი ალბათ საბჭოთა არმიის ოფიცერიც გახდება. არმიაში სამსახური რომ გაგიადვილდეთ, აუცილებელია სკოლაში კარგად ისწავლოთ, დაეუფლოთ რუსულ ენას, საფუძვლიანად შეითვისოთ მეცნიერებათა საფუძვლები. გასოვდეთ, რომ ჩვენს არმიას არ უყვარს ზარმაცი და უცოდინარი. ბევრი ივარჯიშეთ, გამოაწრთეთ თქვენი ორგანიზმი, რადგან ჯანმრთელობა ყოველგვარ საქმიანობაში წარმატების საწინდარია.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მშვიდობის სადარაჯოზე დგანან. პარტიის ძახილზე, ხალხის ძახილზე ისინი ყოველ წუთს მზად არიან აღსდგნენ სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად.

ბრძოლებში გამობრძმედილი სახელოვანი საბჭოთა არმია ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის გუშავია, ჩვენი ხალხის იმედი და სიამაყეა, მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯია მთელს მსოფლიოში.



ს ა მ ა ი ს ო

ბელში ყვავილებით გვესტუმრა მაისი, მდიდარი სიცოცხლით, მზითა და ღვინით, და ასე ხალხისათმ ამიტომ გაისმის დროშების შრიალში სიმღერა ჩვენი.

დიდი ქალაქები თუ სევანთა კოშკები საპირველობისოდ მორთული დგანან და ყაყაოების პაწია დროშებით შარავზას მიაკვება მღელვარე ყანა.

გაზაფხულს ჯანღონე სიცოცხლით ეცხება, უქმესაც არ უქმობს ფურტარი ფაშრჯე. ეკა ეალერსება, მზე ეალერსება მზისკენ თვალმიპყრობილ გულლია ფანჯრებს.

ბელში ყვავილებით გვესტუმრა მაისი, მდიდარი სიცოცხლით, მზითა და ღვინით, და ასე ხმატკილოდ ამიტომ გაისმის დროშების ფრიალში სიმღერა ჩვენი.

გ ა კ ა ი მ ე ნ ა კ ი



პედაგოგიკური მუშაობა



თურმე ზოგიერთ ხუთოსან მოწაფესაც სჭირდება გამოსწორება. არა, დისციპლინას როდღა არაღვეს, მასწავლებლებს როდღა აჯაერებს, ან ქუჩაში უწესოდ როდღა იქცევა, მაგრამ მაინც სჭირდება გამოსწორება!

ჩვენს მეექვსე „ბ“ კლასში ექვსი ხუთოსანი გვყავს. მასწავლებლებმა კი განსაკუთრებით ანდრო ამოაჩიეს. შარშან ზაფხულში არტეკშიც ას გავზავნეს, „ნორჩ ლენინელშიც“ მასზე დაწერეს. კაცმა რომ თქვას, მართლაც ღირსი იყო ყველაფერი ამისა; ჩვენც, ამხანაგები, კარგად ვეძვეოდით, პატებს ვცემდით და ვფასებდით, მაგრამ რა გამოვიდა?!

მე, პირადად, ძლიერ მივირდა მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. როცა მასწავლებელი ამოცანას მოგვცემდა, იმ დღეს შინ არაიქნის ვასვენებდი. ის კი არა, მეზობლებთანაც გავბრდი, ეგებ ვინმე დამეხმაროს-მეთქი. ჩემი უფროსი ძმა, თამაზი, უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს. არც მას ვასვენებდი.

— საშუალო დაგმოთავრებია, უმაღლესში ხარ და მეექვსე კლასის ამოცანა ვერ ამოგიხსნია! — წყნით ვუთხრებოდი, როცა დიდი ხნის წყალების შემდეგ ამოცანის სწორ პასუხს მაინც ვერ მიიღებდა ხოლმე.

— დამეფიცა, ჯემალ... აი, ნახე, შენც რამდენი რამ დაგეფიცებდა.

— მამ რატომ ვსწავლობ, თუ დამეფიცებდა და აღარ გამომადლებს?

— როგორ არ გამოვადლებ... მაგრამ ეს ყველაფერი, რასაც შენ სწავლობ, დიდი ცოდნის სათავე... ამის სწავლა აუცილებელია... მოდი, ახლა შენ სცადე, ეგებ გამოგივიდეს.

ვზვიარ, ჩვეურობებ. განა მეზარება, ან არ მინდა. ძალიანაც მონდომებული ვარ, მაგრამ არ გამომიდის და რა ექნა!

„ოჰ, ანდროს ტენი მქონდეს!“ — რამდენჯერ მინატრია ასე. რაც უფრო მეტს ვწვლობდი ამოცანის ამოხსნაზე, რაც უფრო მეტს ვწვლობდნენ ჩემგანთ აწრიალებული ჩემიანები, მეგრე მეზობლებიც — ჩემს თვალში უფრო მეტად იზრდებოდა ანდრო, რომელსაც არც თვალის ღერა სჭირდებოდა საათი პასუხის მისაღებად, არც ერთი და ორი საათი.

მათემატიკის გაკვეთილზე, როცა მასწავლებელი ამოცანას მოგვცემდა, რაც გინდ ძნელი არ უნდა კოფიციო, ანდრო რამდენიმე წუთში ხსნიდა. სხვა ხუთოსნებიც მალე იყვანდნენ, მაგრამ, როცა ისინი პასუხს წერდნენ თავიანთ რეულებებში, ანდრო უკვე დაფასთან იდგა გაღიმებული, კმაყოფილი და მოზვიამე. მასწავლებელიც მას შესცინოდა.

ჰოდა, ანდროზე ლაპარაკობდნენ კლასში, სკოლაში, ქალაქში...

მომავლად: შარშან მერვე კლასში ასევე გამოიჩინოდა კარლო ძიძიგური. გამოვიდოდა და მოწაფეებში ტრამახით იტყუოდა ხოლმე: როგორც არ უნდა ვუპასუხო მასწავლებელს, ხუთიანს მაინც დამეფიცოს.

მოუკლო და მოუკლო სწავლას. ჯერ რამდენიმე ოთხიანი მიიღო, მეგრე სამიანებიც, და კარლო ძიძიგური გაწუწულ ბელურასავით მოიბუზა.

ასე აუვარდა თავში ქება და ასე ჩამოვარდა სამეზობლო სანაქებო მოწაფე...

მაგრამ ანდროზე ქებას ასე როდღი უმოქმედნია! რაც უფრო აქებდნენ, უფრო და უფრო ბეჯითობდა. ნაკითხი ბიჭი იყო და კლასში ყველაზე მეტი იცოდა.

— ოჰ, ოღონდ ამ მათემატიკას არ გვასწავლიდნენ და!— ვინ იცის მერამდენედ ვიმეორებდი ჩემთვის. მარტო ამ საგანში მქონდა სამიანი. ვერა დავერ გამოვასწორებ.

ერთხელ, ვეწვალე, ვეწვალე და ვერ გამოვიყვანე ის ჯანდაბური ამოცანა. გადავწყურე, ვადმოვწყურე, დავეჯღაბნე, გადავათეთრე... მაინც ვერ ამოვხსენი. თამაზმაც ვერა გაიგო—რა. ისევ ძია მიტოსთან ავირბინე, ჩვენი სახლის მესამე სართულზე. ახედ-დახედა ამოცანას. კარგა ხანს ჩუმად იყო. ქალაღზე ციფრებს წერდა, ულიდა და ისევ წერდა. მერე ყველაფერს ერთიანად დიდი ჯვარი გადაუსვა, სათვალეს ზემოდან გადმოიხედა და მითხრა:

— სწორი არ არის, ბიძიკო.

— რა არ არის სწორი, ძია ბიტო?!

— რა და ამოცანა. სწორად არ არის შედგენილი. რანაირად მოუვიდათ, მეექვსე კლასის პროგრამაში როგორ შეიტანეს, გასაოცარია!

მეთხე სართულზე ძველი ნოქარი ცხოვრობდა. იმან ფანქარსაც არ მოჰკიდა ხელი, პირდაპირ მითხრა: ამას მათემატიკის დოქტორიც კი ვერ ამოხსნიდა.

მეორე დღეს კი ყველა ხუთოსანს ამოხსნილი ჰქონდა ამოცანა. როცა დაფაზე ახსნეს, მაშინ გავიგე მთელი საიდუმლო და ვინანე, უზომოდ ვინანე, რატომ არ ვიცოდი, რომ ასე იყო. მეც ხომ ამოვხსნიდი-მეთქი.

სალამოს ჯერ ძია მიტოსთან მივედი, რვეული გადავუსვალე და ამოხსნილი ვანახე ის ამოცანა, რომელიც მან გუშინ ხაზები გადაუსვა.

— ჰო!— თქვა მოკლედ და პირი დალო.

მერე ნოქარ ამბროსისთანაც ავირბინე.

— მიხარია, მიხარია, რომ ასეთი ჭკვიანი და კარგი თაობა იზრდება. ჩვენზე დიდ საქმეს გააკეთებთ. — ლოზუნგით თქვა მან.

ერთხელ გავიფიქრე: რა იქნება. — მივიღე ხოლმე ანდროსთან, მასთან ერთად ვივეცადინო მათემატიკაში. როცა ის საშინაო დავალებას დაამზადებს, მეც მასთან ვიქნები, ვუყურებ, მოვისმენ, მერე მეც რამეს მოვახერხებ. აბა რა ვქნა.

და აი, ერთხელ, გადავწყვიტე წაესულიყავი ანდროსთან და დახმარება მეთხოვა. მეოთხე მეოთხედი თავდებოდა, ახლა უფრო მეტად მჭირდებოდა დახმარება, რომ გამოცდაზე რიგიანად გავესულიყავი.

ანდრო მოშორებით ცხოვრობდა.

სალამო ხანი იყო. ეს დრო იმისათვის შევარჩიე, რომ მაშინ, როგორც ვიცოდი, ანდროს უკვე მზად

ქონდა ხოლმე ვაკვეთილები. თავისუფალი იქნებოდა და უფრო გულდაგულ ჩამიჯღებოდა.

დიდ ეზოში თავი მოყარათ გოგარბიქს და თამაშით ერთობოდნენ. მე თვლი ვადავავლე იქ მიგროვოლ ბავშვებს — ანდროც მათ შორის ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ იქ არ იყო. ვითუ არც სახლშია! იქნებ ტყუილად მომიხდა მოსვლა? ყოველ შემთხვევისათვის, მაინც ავედი მეორე სართულზე და ელექტროზარი დავრეკე. გამოიხედა ანდროს დედამ და ოთახში შემიყვანა, მერე მეორე ოთახზე მიმიითა და მითხრა:

— ანდრო იქა და წიგნს კითხულობს.

გამიკვირდა: ეზოში ერთი ამბავია, გახურებული თამაშია, ანდრო კი შინ გამოეკეტოდა.

მეორე ოთახში, საყერ მაგიდასთან იჯდა ანდრო და წიგნს კითხულობდა. მე სხვა დროსაც ვყოფილვარ მასთან. საერთოდ კი ძალიან იშვიათად მივიდიოდი.

მან თავი აიღო და მითხრა:

— დაჯექი, ჯემალ... იცი რა კარგ ადგილზე ვარ! ცოტა ხანს თუ მაცლი, კარგი იქნება...

სკამზე ჩამოვჯექი და მაგიდაზე დადებულ სქელ წიგნს დავუწყე ფურცვლა. მართალი გითხრა, არ მესიამოვნა ანდროს ასეთი დახვედრა. რა დროს წიგნის კითხვა იყო!

წიგნის ფურცვლაში ვარ და, ანდროს კიდევ ორი ამხანაგი ესტუმრა, ჩვენი კლასელი ხუთოსნები — ფარნა და თენგიზი.

მაშინ კი დახურო წიგნი ანდრომ.

— შენი ჭირიმი, ანდრო, ეგებ აგვიხსნა ეს ამოცანა... თავი ვიმტვრიეთ და ვერა და ვერ მივიღეთ პასუხი, — შიშართა თენგიზმა.

— საშინაო დავალება ჯერ მეც არ მომიმზადებია, — უთხრა ანდრომ ბიჭებს.

— ამოცანა არ გამოგიყვანია და წიგნს კითხულობ!

— ჰო, ცოტა უნდა დავისვენო და მერე გამოვიყვან...

— მოდი, ახლა დავჯდეთ და ერთად ამოვხსნათ, — ურჩია ფარნამ.

— არა, ახლა მაგის გული არა მაქვს, — იუარა ანდრომ, მერე დაუმატა:

— ბევრი ვიწვალე და არ გამოდის...

ამას არც მე და არც ამხანაგები არ მოველოდით მისგან. თენგიზმა და ფარნამ უსიტყვოდ გადახედეს ერთმანთს.

— ხუთოსნები არა ხართ? ამოხსენით! — რაღაც ნიშნისმოგებით თქვა ანდრომ.

აბა მე რაღა მეტყობოდა! გავტვრუნე. რადგან თენგიზს და ფარნას უარს უთხრა, არც მე გამიმხელია.

რომ იკვებ ამბავი მაწუხებდა, რაც ჩემს ამხანაგებს. თენგიზსა და ფარნას უკან გაყვები, ქუჩაში გამოვედი. ცოტა ხანს შევდგეით.

— არაფერი მესმის, — თქვა განცვიფრებულად ფარნამ, — რა იქნებოდა, რომ ჩვენთან ერთად გამოვეყვანა ამოცანა! ნუთუ მართლა თვითონაც იწვალა და არ გამოიყვანა?!

— რა ვიცი. შეიძლება ასეც იყოს. წავიდეთ. ჩვენ კიდევ გვცადოთ.

— წამო ჯეშალ, გავათენოთ და მაინც გამოვიყვანოთ.

მე მათ გამოვუტყდი რისთვისაც ვიყავი ანდროსთან მისული. სიამოვნებით გაყვევი ამხანაგებს. თუ სწორ პასუხს ვერ მივიღებდით, რაღაცას მაინც ვისწავლიდი ამთვან.

მაღე დავსხედით მაგიდასთან, რვეულები გადავშალეთ.

— ძნელია, — თქვა კარგა ხნის წვალების შემდეგ თენგიზმა.

— ვერა და ვერ მოვძებნე გასაღები, — ცხარობდა ფიცხი ფარნა.

მათ ვერ გაიგეს, მე კი აინუნშიც არ ვიყავი. მე თუ რვეულში მართოდ ამოცანა მეწერა და ფანქარი ერთ წერტილზე მქონდა მიყინული, სამაგიეროდ ფარნა და თენგიზი გაცხარებით წერდნენ.

ამ წვალებასა და დავიდარაბაში, როგორც იქნა ფარნამ მაინც იპოვნა თავისი საოცნებო „გასაღე-

ბი“. ისე წამოიყვია, კინალამ გულში დაკეხეთა.

ამოცანა ამოხსნეს, გადავწერე, რამდენჯერმე გამამეორებინეს და გახარებული წამოველ შინ.

მეორე დღეს, სანამ გაკვეთილები დაიწყებოდა, ამხანაგები ერთმანეთს ვეკითხებოდით:

— გამოიყვანე?
— როგორი პასუხი მიიღე?

ანდრომ კი ცოცხო-ბიჭების ჯგუფში თქვა: ძალიან ადვილი ამოცანა იყო.

ამას ყური მოგვარით მე, თენგიზმა და ფარნამ. ფარნამ ველარ მოითმინა და ანდროს მიეჭრა.

— მამ, გუშინ რატომ გვითხარია — ძნელი ამოცანაა, მეც ბევრი ვეწვალეთ?

ანდრომ წარბიც არ შეარხია:

— თქვენ ხომ ხუთოსნები ხართ. გამოგეყვანათ, რაღა ჩემთან მობრბოდით! — თავმომწონედ თქვა და კლასში შევიდა. მე კი მაინც ვფიქრობდი: ანდრომ თენგიზსა და ფარნას უფრო ალბათ იმიტომ უთხრა, რომ ისინი ხუთოსნები იყვნენ. მაგრამ შეიძლება ჩემთვის არ ეთქვა უფრო. მოდი, ერთხელაც მივალ-მეთქი.

კვირა დღე იყო და აღრე მივედი. ნეტავ არ მივსულყავი!

— მე თქვენი საქმე მიყვია, — მითხრა რაღაც ცივად და უფროსი კაცით, — ერთი მასწავლებელი გვეყვას, ერთი წიგნი გვაქვს და ერთნაირი რვეულები... ტვინი თქვენც აამუშავეთ ცოტა და გამოიყვანეთ... მე როგორ ვიყვანა?!

ამის შემდეგ ყოველთვის თენგიზთან და ფარნასთან მივდიოდი. სიამოვნებით მეხმარებოდნენ და მეც სიხარულს განვიცდიდი, რომ ასეთი კარგი ამხანაგები მყავდნენ. გამოცდების დროს ერთმანეთზე ვფიქრობდით, ვწუხნით, განვიცდიდით.

ვინც კი ჩააბარებდა, გარეთ თავს ვიყვრიდით, რომ კლასში დარჩენილი ამხანაგების ამბავი გაგვეგო, კარგად ჩააბარეს თუ ცუდად, რა გაუჭირდათ და რა არა.

ის დღე არასოდეს დამამოწყდებია!

ასე იყო თუ ისე, მათემატიკაში ჩავებაჩრე გამოცდა და გარეთ გამოველ. ამხანაგები შემომხევივნენ და გულმომთვარდნილმა ვუთხრე რა შემხვდა და როგორ ვუპასუხე. ამ დროს ანდრო გამოვიდა, ჩვენთან არც კი გაჩერებულა, თავის ამხანაგებს არც კი დაუცადა, შინ წავიდა.

წავიდეს, რა ვქნათ!

ყველაფრით თითქოს კარგი ბიჭია, მაგრამ არ ესმის რა არის კარგი ამხანაგობა!



მაღე დავსხედით
მაგიდასთან,
რვეულები,
გადავშალეთ

შხაკუნა წვიმის დანაშაული



წვიმის წვეთი ფანჯრის მინას ჩამოსტრის ბწყარებად.
 წვიმს. დედ-მამას სამსახურში მაინც მიჩქარებათ.
 წვიმს. ქალაქში დღიოდანვე ზეცა დანისლულია,
 და ეწოში ვახლდა ბიჭებს აუფრძალის სრულიად...
 უკვე ყურებ-ჩამოყრილი დაზავბაჯებს დათუნა,
 გოჩა-ბიჭის თვალწამწამზეც ჯავფრი გამოხატულა.
 აღარ მოსწონთ ოთახი და სიფიწროვე აივნის, —
 ოთხივე კუთხეს სულ ერთ წამში ბებიაც კი დაივიღის!
 დათუნა თუ პატარაა,
 გოჩა — უფრო პატარა,
 მაგრამ ტახტზე ფეხის მორთხმა მოხუცს უყვარს, — მათ არა!
 აქ არც ლახტი შეიძლება,
 არც ფეხბურთის თამაში,
 გული მისდით მეთვალყურე ბებიასთან დაჯაში...
 სათამაშოდ რას არ მისწვდნენ,
 რა არ გამოიგონეს,
 მეგობრულად ერთმანეთი მაინც ვერ აიყოლეს!
 ეწოში კი ამ დროს წვიმა აჩენს ათას ნაქადულს
 და სრულიად არ ჰგავს ბალი სურათს წიგნი დასატულს, —
 ნაქადულებს, სიხარულით აცრემლებულ ბუჩქებთან,
 ტალღა ფანქრის ერთი მოსმით ასე როდი უჩქედდა! —
 ხატვა რაა, ახლა ისიც იქცა თავისტებადა:
 დათოს ფანქრით, დათოს თვალწინ სურდა გოჩას ეხატა!
 ხოლო დედის ნაწუქარი გოჩას ლურჯი რვეული დათოს განზეც გადუფურცლავს ფურცელ-ამახუტული!
 წაიქიღნენ ყმაწვილები,
 აწიოკდა ოჯახი, —

გოჩა მარჯვე ბიჭი იყო, დათოც ვახლდათ ყოჩად! ხან ერთსა და ხან მეორეს მუშტი ცრემლებს ადენდა, — სწუხდა ბებო: „ქა, ეს რაა. ეს რა დილა გათენდა! ხან ისეთი კარგები ხართ, ვკედები რომ არ გაკოცოთ, დღეს კი გინდათ ერთმანეთი ცემა-ტყეპით დახოცოთ! აგა, თქვენი ხელსაწყო და ფირის ყუთი, ბჭრიალა, ჩუმაღ თქვენთვის ითამაშეთ, ქა, რამ აგაჩრიალათ!“ ბებომ უნი ყმაწვილებს მაინც ვერ დაადუნა, — ცერზე დგება გოჩა-ბიჭი, დაზავბაჯებს დათუნა...
 წვიმს. პირღია მიღებდნენ წვიმის წყალი ჩქრიალებს! — იქ რომ იყვნენ, ჩაღის წისქვილს წყალი დაატრიალებს!
 იქ რომ იყვნენ, ნიაღვარი უფრო გააზარებდათ, რა სჯობია შიშველ ფეხით შებმას ნიაღვარებთან!
 ზაფხულია და შხაპუნით წვიმს აყალი მიწაზე, ზამთრის ყინვა ხომ არაა — გაგვაციოს იწამსვე?!
 ლერწმის გოჩას რომ აწივს სვეტთან გოჩას ლურჯა-ცხენია, და უმერნოდ დათუნასაც ვეღარ მოულებენია...
 ბებია კი ისევ იწყებს: „იყო, არა იყო, რა...“ არა! ზღაპრის გავონება დღისით ვინ ვაიგონა! არა, არა!.. და ბებიაც აიყოლებს კეთილად:

„...ქა, მთელი დღე როგორ ვეყო ასე კარჩაკეთილი!“
 დაიღწნენ ყმაწვილები, გაუფშადათ გუნება, შინ უბრალო გასართობი საქმეც არ ეგულებათ, დათომ კოშკი აშენა, გოჩამ განებებ უშავა, დათომ თავის მშენებლობას დაახეთქა მუთაქა!
 გულმოსული მიწვა ტახტზე, გოჩა მაინც არ იშლის, — მოინდომა შეუმჩნევლად გაღმობრობა ბალიშის!..
 დათო ცუდლუტს დაეწია ერთი ვალბაიჯებით, — საშინელი ჩხუბი ატუდა, აიქორწინენ ბიჭები!
 ხელწართული ბრძოლა იყო: ხელით ცდნენ ბალიშებს, აუწეროდ ორომბრიალს ვინ-ღა იანგარებდნენ...
 დათო გოჩას დაეჯახა ვით ქედლიას ქედლია! — საღამომდე ძირს ბუმბულის თოვა არ შეწყვეტილა. ბალიშების ბუქი დადგა, კაცი კაცს ვერ ხედავდა და მოხუცი გამოხლომას რომელს ალუკეთავდა! ვერაფერი ვერ გააწყო, სულ ამაოდ იწყალო





და უეცრად მათთან ბრძოლის
ხერხი გამოიცვალა:
თავი დასდო ხალიჩაზე
და დახუტა თვალები,
უნუგეშოდ სასომიხილის
ჰგავდა განაწვადლები.
იწვა ქალი „გულწასულა“
თავს ბუმბული ათოვდა,
დაინახა გოჩა-ბიქმა,
დაინახა დათომ და
შეებრალოთ. შეაჩერეს
უცებ აურზაური,
ჩუმში იყო მათი მწერა,
ჩუმში და უცნური.
დათოს უკვე შეშფოთებით
სულად შეგუბებია,
გოჩაჲ მძიმედ აჩურჩულდა:
— აღარ სუნთქვს ბებია!
შეშინებულ ბიქებს წამით
ფერმა გადაუარა,
„— რა გქნათ ახლა,
რა ვუშელოთ,
უცებმ გული თუ არა!?“
დაინახა დათო ფრთხილად,
ნელა დააყურადა, —
— მგონი სუნთქავს! —
თქვა და თვალით
გოჩაჲ გააგულადა.
— მოდი ტახტზე ვიყუევანოთ,
სირცხვილია აქ რომ წევს! —
და ორთვემ სიყვარულით
ბებოს ერთად აკოცეს.
ცალ მხარს დათო ჩაეჭიდა,
ცალი გოჩამ ასწია
და შეიქნა პატარების
ღლი გაჭანაწია.

აქ კი ხდება სასწაული,
ძლივს გახელილ თვალებით,
ბებო ამბობს: „— ბიქუნებო,
თქვენ თავს ენაცვალე, ახე
რა გახარხარებთი?..“
იყო მუდამ ნეტავი,
მართლაც კარგი ბიქები ხარო,
კარგი შესხედავი!
ბებოსაც ეფერებოთ,
ერთმანეთსაც ახარებოთ...
მავრამ რაა, ყმაწვილებო,
ახე რა გახარხარებთი?..“
და ბებომ ვერც მოასწრო
გამოეცნო რა მოხდა,



მავრამ ღონე აღარ ეყოთ
და ცელქები უმაღვე
დასხდნენ ერთად და ერთმანეთს
ცრემლსაც აღარ უმაღვენ.
ბებოს კი ესმის მათი
გულახდილი ჩურჩული,
ყოველ სიტყვას იმასხვებებს
განწარხ თვალდახუტული.
დათო უკვე თავს იშოლდავს,
სიტყვადაუმცხრალია,
ამბობს: — ჩვენი ონავრობის
და სიცელქის ბრალია!
გოჩა-ბიქიც ეთანხმება
და გულწვილი აღერსით
კვლავ ბებოს ეფერება
კოცნით უმხურვალესით..
მობუცებულს შვილიშვილითა
სიამტკბილუ ახარებს,
მავრამ წევს და განახული
ჩელსაც კი არ აქანებს.
უცებ ესმის: — მივასხურით
ბებოს ცივი წყალიო,
იქნებ ისევ გამოცოცხლდეს,
გაახილოს თვალიო!..

რომ ორივე ჩხუბისთავი
სწრაფად ფეხზე წამოხტა.
გულისწასვლის მოგონილი
ოინი რომ გაიგეს, —
მთელი ძალა და უფლება
ისევ ხელში აიღეს!..
მეგობარი თუ ხარ, აშდროს
უნდა წარი დარეკო! —
თორემ ბებოს, როგორც ვნახე;,
მოთმინება არ ეყო.
მეგობარი თუ ხარ, აშდროს
ჩემო გვიც, სადა ხარ? —
ერთ კუთხეში ონავრები
დავაყენოთ მხარდამხარ!
კითხით: — რაკი დავითხოვეა
ახლა საარდღეგოდ,
შინ უთოოდ უნდა ჩხუბი
და განგაში ატხოთი?
ჩემო ილო, გულკეთილო,
თამარო და არჩილო, —
წვიმას თვლიან დამაშავედ..
მოდი, გადავარჩინოთ!



ს. იორაშვილი

ნახ. კ. მახარაძის

„პირატი“

ჩვენი მეზობელი, ავიაციის პოლკოვნიკი, სასწრაფოდ მოსკოვში გადაიყვანეს ახალ სამუშაოზე და წასვლის წინ საოჯახო ნივთებიდან რის წაღებაც კი ვერ შეძლო მსურველებს ჩაღის ფასად მიჰყიდა. პირადათ ჩვენს ოჯახს ასეთი მდგომარეობით ოდნავაც არ უსარგებლია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთი პატარა, ასე ორი თვის ხედი ლეკვი დაგვიტოვა, რომელიც იმ წინა დღეებში ვიღაცას მიერთმია პოლკოვნიკისათვის და ეთქვა: საინტერესო პირილია, დედა სუფთა „შპიცი“ ჰყავს, მამა კი კავკასიური ნაგაზიაო.

დღეაჩემმა იმაზეც ხელემა გაასაესავა და გვითხრა: მომაშორეთ აქედან, რა ეშმაკად მინდაო. მაგრამ მე და ჩემს უმცროს და-ძმას ისევ მამაჩემი გამოგვექომოვა და ლეკვი დაგვიტოვებო.

ოჯახის ამ ახალი წევრის სახელის დარქმევაცზე ბევრი აღარ გვიღვივა; რასაც პოლკოვნიკი ეტახდა, ისევ ის დავუტოვეთ სახელად — „პირატი“.

ლამაზი შეფერილობის გრძელი ბალანი ჰქონდა პირატს. თოვლივით სუეტაც თეთრ ფონზე ოდნავ მოშავო ზოლები დაუყვებოდა. ხოლო რამდენადაც იზრდებოდა ლეკვი, შავი ზოლები უფრო აშკარად ჩნდებოდა მის ტანზე. ბოლოს თეთრი ფონი სანახევროდ დაფარა ზოლებმა.

ჩემი დის, თამარის განსაკუთრებული მზრუნველობის წყალობით ლეკვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა და მალე ისეთი ღონიერი ძალი

გახდა, რომ ექვსი თვის ასაკში მასზე ცაცი რომ შემჯდარიყო, თავისუფლად დაიმაგრებდა. ამასთან ერთად ისეთი გონიერი პირუტყვი მეორე იშვიათად შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მეტად თამარს დაუმიგობრდა „პირატი“ და მის ბრძანებას უყურაყნოდ ასრულებდა.

„პირატი!“ უყარაულე, უყარაულე, ხელი არავინ ახლოსო, ეტყოდა თამარი და ბურთს დაუგდებდა. ეს საკმარისი იყო ძაღლისათვის, რომ ჩაბრებულ ნივთს გვერდით მოსწოლოდა. კარგი ბიჭი იქნებოდა, ვინც მეტე იმ ბურთს ხელს ახლებდა. ძაღლი ჯერ საზარელი ღრენით გააფრთხილებდა დაუპატიყბელ სტუმარს და, თუ იგი მაინც არ გაუგონებდა, მოჰიდავე ვაკაცივით გულზე აეტატებოდა და აღმასივით კბილებს ყელთან გაუკაპუნებდა.

უცნაური კიდევ ის იყო, რომ „პირატის“ შიშით დედაჩემიც კი ვეღარ გასწყრომოდა თამარს. საკმარისი იყო დედას ხელი წაეტანებია გოგონასათვის გასალახად, რომ „პირატი“ შუაში ჩაუდგებოდა, რაღაც ყრუდ ჩაიხიხინებდა ხორხში და გალახვის საშუალებას არ მისცემდა. ეს მხოლოდ დედასთან, რადგან გონიერმა პირუტყვმა იცოდა დიასახლისის უფლებები ოჯახში და ამაზე შორს აღარ მიდიოდა, მაგრამ სხვა შემთხვევაში კი სულ სხვანაირად იქცეოდა „პირატი“. ან მე, ან ჩემს ძმას — ოთარს რომ ბოროტად ხელი დაგვეკარებინა თამარისათვის, ძაღლი ზედ შემოგვახტებოდა ღრენით. ასე გაგვიტამამა ჩვენი უმცროსი და „პირატმა“.

ხოლო ამხანაგებთან როცა თამაშობდა თამარს, „პირატი“ სულ მუდამ გვერდში ედგა და ყველას მოქმედებას აკვირდებოდა ლამაზდარბილი და თვალბედამეტრებული — მართლა ესუბრებიან თუ მტრულად ემკვიდრებიან ჩემს ქალბატონსო. ბევრჯერ უძლიადა შეცდომაში შეეყვანათ ძაღლი და განგებ ხელს მოკიდებდნენ ხოლმე თამარს ამხანაგები. თითქოს კიდევაც სცემდნენ ძაღლის დასანახად, მაგრამ გონიერი პირტუტყვი ამ დროს ყურებს დაქვევებადა, კისერს გვერდზე მოიღრცედა და თამარს სახეში შეჰყურებდა, — მართლა უჭირს რამე, თუ არაო... სანამ თამარის სახეზე ღიმილს ხედავდა, მშვიდად წყნუოდა, თითქოს ეუბნებოდა ცუდლუტებს, — ვიცი თქვენი ოინები, მე ვერ მომატყუებთო, მაგრამ საკპარისი იყო, თამარის სახე მართლა მოღუშუელი, შეწუხებული დაინახა, რომ ძაღლი ეღვასავით ეცემოდა მისი მფარველის შემწუხებულს და, თუ ისეე თამარი არ შეაჩერებდა, სხვას არავის შეეძლო მისი დამშვიდება.

რა თქმა უნდა, თამარისადმი ძაღლის ასეთი სიყვარული შემთხვევითი არა ყოფილა, თუმცა ყველას უევირდა, რითი შეძლო და რითი დაიმგობრა ასე ეს საზარელი შესახედაობის ცხოველი. მაგრამ ჩვენ, ვინც მათი დამეგობრების მოწმენი ვიყავით, სხვანაირად ვერც კი წარმოგვედგინა მათი ურთიერთობა. რა საჭმელი უნდა მიეცათ თამარისათვის, რომ იგი პირატი-სათვის არ გაენაწილებინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძაღლის ღირსება მარტო თამარისადმი ერთგულებით როდი ამოიწურებოდა! იგი ამასთანავე ეზოს შეუღარებელი და-რჩავიც იყო ღამით და ჩვენს სახლს ხომ დაკეტვაც არა სჭირდებოდა. უცხო კაცი ფეხს შემიღამებდა თუ არა ეზოში, „პირატი“ ბოროტად იღრინებოდა... გვაგებინებდა...

და აი ეს ძაღლი, დაახლოებით წლინახევრისა რომ იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს საღდაც გაჰქრა. ვეღარც მკვდარი ვნახეთ საღდაც და მერც ცოცხალი. მივიკითხ-მოვიკითხეთ ყველგან, მაგრამ „პირატის“ ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ.



რა თქმა უნდა, „პირატის“ დაკარგვას ყველაზე უფრო ისეე მისი მეგობარი თამარი განიცდიდა, რის გამოც ბევრჯერ უტირია კიდევ. ჩვენები ხედავდნენ ამას და უეკეთესი ლტკვის მოყვანას პპირდებოდნენ, თან ცდილობდნენ ბავშვი

სხვა რამით გაერთოთ. მაგრამ პირველ ხანებში ისე ადვილად ვერ დაევიწყეს თამარს თავისი ერთგული მეგობარი. ბოლოს, როგორც არის ნათქვამი — სიკვდილს არაფერი ეშველება, თორემ სხვას ყველაფერს მოველებოთ, მაშინაც ასე მოხდა: ერთი აშბით თამარსაც გადავაყრევინეთ გულის ჯავრი.

იმ ხანად, იღბლად, მამაჩემმა „პობედის“ მარკის მანქანა გამოიტანა, რომლის როგორც აღრევე იყო ჩაწერილი და ფულიც შეტანილი ჰქონდა. სწორედ კარგ დროს მივიღეთ! ისე გავგებხარდა, რომ „პირატის“ დაკარგვა ნამდვილად აღარ გავგხსენებია.

კვირა დღით ჩავსხდებოდით მანქანაში მთელი ოჯახი, მამა საჭეს მიუჯდებოდა, და დავქროდით საღაც გული გავგვიქვდა. ხან ხრამზე და დებეღჩაიზე ცვოდვილობდით ბადის გაშლას სამივე მამა-შვილი, სანამ კარგად დავუფლებოდით მის ხმარებას, ხან ალგეთზე და ხანაც მტკვარზე. მერე, კარგად რომ დავხელოვნდით და სიცხეებიც მომძლავრდა, არავვის სათავეებში კალმახების დაქერაც ცვადეთ. იქაც ხან ბარისახოსაკენ გავუხვევდით ჟინვალდან და ხანაც ფასანურისაკენ მივქროდით.

ლამაზი მკვყანაა ეს დალოცვილი ჩვენი სამშობლო. ჩვენსაკუთრებით არავვისპირებმა მოგვჯადოვა მთელი ოჯახი, რასაც პირველად ვხედავდით. ერთხელ, ჩარგლის ხევის ჩამოსწვრივ, მკავე წყლებთან, საღაც კალმას ვხარშავდით, დედაჩემმა თავისი მოწაფეობა გაისხენა და ოღსელაც ნასწავლი ბართაშვილის პოემის ნაწყვეტი „მორბის არაგვი“ სწორედ არაგვისპირზე სულმთლად შეუცლომლად გაიმეორა.

მამაჩემი დღილობა შეჰყურებდა თავის მეუღლეს და მერე კმაყოფილებით თქვა: სხვა რომ არაფერი არ იყო, მარტო ამითაა გამართლებული მანქანის ყიდვა, რომ ამ არაგვისპირებზე გამოსეირნებამ ჩემი თანამეცხედრე ასეთ კარგ ხასიათზე დააყენაო.

ერთხელ, „პობედის“ შექმნიდან მეორე წელიწადს, ყაზბეგისაკენ მიმავალი მანქანა დიდამ ჯვარის უღელტეხილზე რომ ავედით, სულ მძლელა, იქ შეგაჩერებინა. მთის გრილი ჰაერით აკანკალებული, იგი ხარბად გადაჰყურებდა მთიულეთის არაგვის სათავეებს და შემდეგ მამაჩემის გასაკონდა, ზუსტუნით წაილაპარაკა: აი ახლა გუყურებ ნამდვილ ცხოვრებას, ნამდვილ საქართველოს ბუნებას და მეც მასში ვიცოცხლო. ახლა ვგრძნობ, რომ საქართველო ჩემი ნამდვილი დედაა და ახლა უფრო მეტად მიყვარს იგი, ვიდ-

რე ოდესმე მყვარებია. მართალი უთქვამთ: „თვალით უნახავი ვის უტყირნაო“.

მე და მამაჩემი ვუსმენდით დედას და ჩვენც ვეთანხმებოდით, რომ საქართველოს ეს მხარე, მართლაც, ერთ-ერთი უღამაზესი კუთხეთაგანი იყო.

ოთარსა და თამარს კი ამ დროს ჩვენთვის არ ეცალათ. ისინი გაფაციცებით დარბოდნენ გზისპირებზე და ალბიური ყვავილების თაიფულუბსა ჰკონავენდნენ.

ჩვენს ირგვლივ, გზის ორივე მხარეს, ნოყიერ ბალახთან ფერდობებს ცხვრის ფარები შესეოდნენ. ფარების გვერდით ნაბადწამოსხმული გრძელწიშხანის მცეხვარეები დაბიჯებდნენ და ზანტად აყოლებდნენ თვალს დაკლანქილ გზაზე მჭროლავ ავტომანქანებს.

თბილისის სიციხეებიდან მსუბუქად ჩაცმულები ვიყავით გამოქცეულნი და მალე საგრძნობლად შეგვეცივდა. განსაკუთრებით დედა გაიცრიცა, სულ მთლად კანკალმა აიტანა, და მანქანას მივაშურეთ. ოთარსა და თამარს კი, რომლებიც კარგა შორს გაეტყუებია ყვავილების ქრეფას და აღარცა ჩანდნენ, საყვირით დიღხანს ვაძლევიდით ნიშანს. ის იყო მამამ მითხრა: ლევანს აირბინე ერთი იმ ბექობზე და ბავშვებს გაღასძახე, მოვიდნენო, რომ სწორედ იმ ბექობზე გახარებული სახეებით ამოიჭრენ ოთარი და თამარი. ხელში თაფულები ეჭირათ, უკან კი ენაგადმოგდებულნი მოსდევდათ ჩვენი დიდი ხნის დაკარგული ოჯახის წევრი — „პირატი“, რომელსაც ბანჯგვლიან ქისერზე მგლის საწინააღმდეგო ჩანგლები ება.

ბავშვები მანქანასთან აქონიებულები მოიჭრნენ და ერთმანეთს აღარ იციდნენ პირველად რომელს ეთქვა, თუ როგორ დაინახეს მცხვარეებთან წამოყუნტული „პირატი“, ან პირველად რომელმა დაინახა, რომელმა იცნო, და როგორ გამოექცა ძალლი მცხვარეებს თავისი სახელის გაგონებაზე.

ძალიც, ბავშვებივით აღტაცებული და ენაგადმოგდებული, ყველას გველაქტეებოდა, გვეალურსებოდა და აღარ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი სიხარული.

ამ ყოფაში რომ ვიყავით და ჯერ ვერც კი წარმოგვედგინა ის ამბავი, თუ საიდან გაჩნდა ჩვენი „პირატი“ იმ უსიერ მთებში, ორი ნაბიჯიანი მცხვარე მოვიდა ჩვენს მანქანასთან გრძელი ჩომბახებით, ხოლო ერთ მათგანს ბერდანის სისტემის თოფის ლულაც მოუჩანდა ნაბადქვეშ.

მყეუმები მოგვესალმნენ და, როგორც ჩვეულებრივ, მამაჩემს მიმართეს:

— ე ბალებმა მყეფარ რომ მოგვტაცეს, რას გვეჩოდნენ, პა? — და მათ ხმაში იგრძნობოდა, რომ ბავშვები ნამდვილ გამტაცებლებად არ მიაჩნდათ და ისე, სიტყვის მასალად იხმარეს, რადგან თვითონაც კარგად იციოდნენ, ძალდი უტყობებს არ გაჰყვებოდა.

ამ სიტყვებზე მამას გაელიმა და უთხრა: — აი, სწორედ ამას უძახიან ჩვენში — სართი დასურებისააო. — იმის მაგივრად რომ ჩვენ გისაყვედუროთ, თუ საიდან გაჩნდა ჩვენი ძალდი თქვითან, პირიქით თქვენა გვდებთ შარსა.

— შარი რა საკადრისია, შენი კენესამე. არც ვიცი თუ სადაველი ხართ. ისე კი ეტყობა მყეფარმა იცნო ბატარები, თორემ ჰაი-ჰაი რომ არ გაჰყვებოდა უტყობი. მაგრამ ეგ მყეფარ ერთ ცხორად ვიცილეთ ყინვალში.

— პატარა, შავი, ხუტუტმიანი ბიჭისაგან ხომ არ გიყვინიათ? — უტბად ჰკითხა მამაჩემმა, რადგან „პირატის“ დაკარგვის მეროვ დღესვე ერთი თავშავი ქედილა მოიყვანა ჩვენმა მეზობელმა, მამით ობოლმა ბიჭმა ყორამ, რომელიც შოფრის თანაშემწედ მუშაობდა იმ ხანად, და ყველას ექვი შეგვეპარა მამის: ალბათ ჩვენი „პირატი“ თუ გადაცვალათ, მაგრამ როცა არაფერი საბუთი არა გვეჩინდა, თქმას როგორ გაგებდავ-



დნით. ახლა კი მეცხვარემ დაუღასტურა, სწორედ ავეთმა პატარა ბიჭმა მომყიდაო, და ისიც დაუ-
მოწმა, რომ ცხვარი მართლა თავშავი იყო. საღაო
თითქმის აღრაფერი დარჩა. მეცხვარეები ნამ-
დვილად უღანაშულონი იყვნენ. ამასთან ერთად,
არც ჩვენ ვტყუოლით და ძალი ტყუილად არ
დაგვიჩემებია, მაგრამ საღაო ახლა ის იყო, სა-
ბოლოოდ ძალი ვის წყევანა — ჩვენ, თუ მე-
ცხვარეებს.

ერთ-ერთი მეცხვარეთაგანი, რომელსაც ძალი
ეყინდა, კიდევაც დააკვირდა ჩემს პატარა ძმას,
ევონ ეს არის, რომელმაც ძალი მომყიდაო,
მაგრამ ოღნავი მსგავსებაც ვერ იპოვნა და ისევ
თვლი აარიდა.

ასეთ მდგომარეობაში რომ ვიყავით, ორი სხვა
მეცხვარეც წამოგვადგა თავს. მათ ერთი კოჭლი
ცხვარი მოიყვანეს და გზის პირას დაწვივნეს.



— ე ბალღებმა მეყვარ რო მოგვტაცეს, რას გვეჩიოდ-
ნენ, ჰა?

ცხვრისათვის მთიდან დაგორებულ ქვას ეგებო
მოეტეხნა და საღაო მიჰყავდათ. სანამ საზარგო
მანქანა გამოვიღოდა, ისინიც ჩვენთან მოვიდნენ
და ყურს უღებდნენ ჩვენს დავას.

მამჩემმა, რაკი შეატყო, რომ მწყემსები ალ-
ღამართლები იყვნენ, სიდიდან საფულე ამოიღო
და მიმართა შემდეგი სიტყვებები:

— აი, მეგობრებო! მე თანახმა ვარ გადავი-
ხალო ცხვრის ნაფასური, რომელიც თქვენ ამ
ძაღვში მიგციათ. ავირ თქვენივე მეცხვარე
ხალხი რასაც შეაფასებს და დამაყისრებს, გა-
დავიხდი.

მაგრამ მეცხვარეებმა შორს დაიჭირეს მამაჩე-
მის წინადადება.

— არა, შენი ვენესამე, ათი ცხორის ნაფასუ-
რიც რომ მოგვცე, ჭოღრას მაინც ვერ დაგანე-
ბებთ! — პირატისათვის ახალი სახელი — ჭოლ-

რა დაერქმიათ. — ახლა ეგ მყეფა-
რი ფერმის ქონებაშია შეტანილი და
ჩვენს ბრიგადას აწერია. თვითონ ფერ-
მის გამგე თუ მოგცემთ, ეგ იმისი
საქმეა, ჩვენ კი ცოცხალს თავით
ვერ გაგატანთ.

— კი, მაგრამ, ფერმის გამგე სად
არის, სად შეიძლება მისი ნახვა?

— ფსანაურს არის წასული, შენი
კენესამე, ცოლუღლი. ელაბ იქა
ჰყავ და ბაღო დახლოშია ძაღვმ ავად.

მამაჩემმა ჩაიფურა ფერმის გამგის
გვარი და სახელი, ზუსტი მისამართი,
და განვარკმეთ გზა ყაზბეგისაყენ.
უცან რომ დავებრუნდებოდი, მაშინ
უნდა მოგვეგვარებინა „პირატის“ საქ-
მე, მაგრამ არც ისე ადვილი გამოიდა
ჩვენი წასვლა, როგორც გვეგონა.
ძალი აედევნა ჩვენს მანქანას და
მეცხვარეებმა ვერაფრით ვეღარ და-
აკავეს. რაკი გაიგო, ჩემს პირველ
პატრონს ისევ უნდა დამაცილონო,
ხელი არავის მიაკარებინა და ახლოს
არავინ გაიკარა. წაუსულიყავით და,
არც ეს ივარგებდა — გამოვიღოდა,
რომ ძალი ძალით გავიტაკეთ.

ჩავევარდით უხერხულ მდგომარეო-
ბაში. დრო მიდიოდა, ყაზბეგს ვე-
ღარ ვუწევდით. რამე უნდა გვე-
ლონა, მაგრამ ვერაფერი მოგვეგო-
ნებინა. ამ გამოუყვალ მდგომარეო-
ბიდან ისევ თამარმა გამოგვიყვანა;
ჩამოხტა მანქანიდან, წაიყვანა ძაღ-

ლი გზის პირას მწოლარ ფეხმოტეხილ ცხვართან და ძველებურად უბრძანა, პირატ! უყარაულე, უყარაულე, ხელი არავინ ახლოსო! და გამოუბრუნდა.

ძალმა ერთი კი შემოხედა მანქანისაკენ მომავალ თამარს, უქმყოფილოდ დაიწყებულუნა და მიბრუნდა ფეხმოტეხილი ცხვისაკენ. მანქანა ნელა დასძრა მამამ. უკან ვიყურებოდით, — რას იზამდა „პირატი“: გვიანტიერესგბდა კიდევ თვლილი იგი თამარს თავის მბრძანებლად, თუ გადაავიწყდა მისი ამაგი. ესეც მალე გამოირკვა: „პირატი“ მტკიცედ მოუწვა ცხვარს გვერდით და ანთებულთ თვალები გამოგვავოლა.

— რადც უნდა დამიჯდეს, მაგ ძაღლს ისევ დავებრუნებ. ხედავთ, ზოგ ალაშქარსაც კი ვერ გააკეთებინებ ასეთ საქმეს! — თქვა მამაჩემმა და მანქანა კობისაკენ დაუშვა.

* * *

იმ დამეს ყაზბეგის სასტუმროში გვეძინა. ძილში ჩაგვესმოდა თუმცა პირველად ნახული, მაგრამ უღერესად მახლობელი და საყვარელი თერგის ხმაური. დილთ ამაღლ ვიცქირებოდით მყინვარწყურისაკენ, — იქნებ ნიავემ ღრუბლები გადაყაროს და მისი მწვევრალი დავინახოთო — მძიმე ჯანდი დასწოლოდა გერგეტის მთებს...

ყველაფრით კმაყოფილები გამოვბრუნდით ყაზბეგიდან, ყველას გვენანებოდა იმ დიდებული ადგილის ისე ჩქარა მიტოვება, გარდა თამარისა, რომელიც საუკესთან მჯდომ მამას უქნიდან მხრებზე მოხვეოდა, თან კოცნიდა და თან ეხვეწებოდა:

— ჩქარა წადი, მამა, ჩქარა, გენაცვალე! ვიცი „პირატი“ ისევ იქ გველადება და ცოცხალი.

თამარის ქცევაზე ყველას გვეღიმიებოდა და სასაცილოდაც არ გვეოფინდა მისი მღვდლარება „პირატის“ გამო. განსაკუთრებით მე და ოთარი ვედექით კრაჟში და ვუმტკიცებდით, რომ პირუტყვს ყველაფერი მალე ავიწყდება და, არამც თუ მეგობრობის დამახსოვრება არ შეუძლია მას, არამედ დედა-შვილი რომ დააცილო რამდენიმე თვით, ერთმანეთს ვეღარ იცნობენო.

მამამაც თავის მხრივ განუშარტა თამარს:

— გენაცვალე, თამარ! როცა შენ „პირატი“

ყველაფერს გიგონებდა, იმას მამინ ლეკობიდან მოსდევდა ის ჩვევები და მექანიკურად იმეორებდა. ახლა კი, აგერ, ერთი წელიწადი იქნება რაც იგი მთავრი მეცხვარეებთან ცხოვრობს, და სადღა ეხსომება ოდესღაც რა ესიათვენებოდა ხოლმე მის მეგობარს. ტუყილად გგონია, რომ „პირატი“ გზისპირას დაგვხვდება. მეცხვარეები მას ალბათ ისეთ ადგილს გადაჰპარგავდნენ, რომ ეშმაკმაც ვერ მიავნოს. თუ სწორი მისამართი მაინც მოგვეცეს და ფერმის გაზაფხ მართლაც ფასანაურში დაგვხვდა, მხოლოდ იმით შეიძლება ვიპოვნოთ, თორემ გზის პირას „პირატს“ ვინ გააჩერებდა!

ასეთი ლაპარაკით გამოვიარეთ ანდწიტი, სიონი, კობი, აღმართი ამოვთავით და კვლავ უღელტეხილზე შემოვღვეით. თუმცა თამარის მეტი ყველანი ღრმად ვიყავით დარწმუნებულები იმაში, რომ ის ძაღლი იქ აღარ დაგვხვდებოდა, მაინც რატომღაც ყველას თვალები იქითკენ მიიპართნენ, სადაც წინა დღეს „პირატი“ მოუყარაულა თამარმა კოჭლ ცხვარს.

თამარს კი ევეცე არ შეჰპარვია იმაში, რომ მისი მეგობარი დავალებას არ შეუსრულებდა და იმ ადგილიდან წავიდოდა. მისი გულუბრყვილობა ყველას ღიმილსა გვეკრიდა. მაგრამ რანაირად განვეციფრდით და თანაც გაგვეხარდა, როცა მანქანამ ჩვენს ნაცნობ ბეჭობთან მოუხვია და გზის პირას წამოყუთნული, დაღვრემილი „პირატი“ დავინახეთ ფეხმოტეხილი ცხვარის გვერდით. შორიანლოს კი პატარა ბიჭი წამოწოლილიყო და, როგორც მიერე გავიგეთ, თურმე ცხვარსა და ძაღლს ყარაულობდა უფროსების დავალებით.

მანქანა რომ შეჩერდა და ყველანი ძირს გადავყვდით, ძაღლი სისხარულის გამომხატველი წმუტუნით წამოხტა და პირველ რიგში თამარს მიეგება ალერსით. შემდეგ ყველას მოგველაქუტა და ისევ ცხვართან მიბრუნდა, თითქოს გვეუბნებოდა: აი, თქვენნი ჩაბარებული ისევ ხელხუზგებლად დაგახვედრეთო.

პატარა ბიჭმა რომ შეგვატყო ვინც ვიყავით, ცოცხლად წამოხტა და ჩვენთან მოიბრინა. მამამ გამოჰკითხა საქმის ვითარება და ბიჭმა უტნაური რამ გვიამბო.

(დასასრული შემდეგ ნომერი)

ჩვენი სასახლე

1. მოკლედ წარსულიდან

ერთნახევარი საუკუნის წინ, 1799 წლის 26 ნოემბერს, თბილისში შემოვიდა რუსეთის ჯარი ენერჯალ ლაზარევის შეთაურებით. ჩრდილოეთის დიდი ქვეყნის ჯარისკაცები განაცვიფრა საზღვრების სითბომ, მშის მცხუნვარებაში, ზღაპრულმა ბუნებამ და საქართველოს გულის — თბილისის მახლობლად გაშენებულმა ზეხილის ბაღების სიმრავლემ. ვინ იცის მაშინ უწოდეს რუსმა ჯარისკაცებმა პირველად ხილულ ქვეყანას შვიური საქართველო იმ დროს ქალაქის დასახლებული ნაწილი, იგრეთწოდებული ძველი თბილისი, ახლანდელ ლადალ გაშლილ ლენინის სახელობის მიედანთან თავდებოდა; დანარჩენ ტერიტორიას, რომელზედაც ახლა ახალი — სოციალისტური თბილისია გაშენებული, მაშინ გარეუბანს უწოდებდნენ. მამინდელი გარეუბანი ბალ-ვენახებით ყოფილა დაფარული. ვიროსოლოვის სახელობის კლუბის საზაფხულო პარკი და პიონერთა სასახლის ბაღი ძველი თბილისის ძველი ბაღების წარჩენია.

ოქტომბრის რევოლუციამდე პიონერთა სასახლე მეფის მთავარმართებლებს ეკუთვნოდა. იგი აუშენებიათ 1818 წელს, ხოლო 1865 წელს ვინმე არქიტექტორ სიმონოსს სასახლე გადაეკეთებია.


საქართველოში საქართველოს ხელისუფლების გამარჯვებამ სასახლე საქართველოს მთავრობის რეზიდენციად გადაქცია. 1939 წელს კი საბჭოთა მთავრობისა და პარტიის დადგენილებით დაიწყო შენობის რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც სასახლე თბილისელ პიონერებსა და მოსწავლეებს გადაეცა. შენობის რეკონსტრუქციას საქართველო მთავრობამ 4.000.000 მანეთზე მეტი დასაჯა. სასახლის 300-მდე ოთახი, დარბაზი და სათავი ბავშვთა სურვილებსა და მოთხოვნებებს შესუვრდა.

2. პირველი დღე

...თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კარები ფართოდ გაიღო სასახლის საზეიმო გახსნაზე მოსული პიონერებისა და სტუმრებისათვის. ეს იყო 1941 წლის 2 მაისი...

მარშალითი მოპირკეთებულ ვესტიბიულში დახვდნენ სტუმრების ნორჩი პიონერები — პატარა მასხინძეები, პატარები სტუმრებს მოუხიბობდნენ, რომ ეს ძვირფასი სასახლე თბილისის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის შტაბს წარმოადგენს. აქ ყველაფერი პიონერთა განიერული დასვენებისთვისაა განკუთვნილი. პიონერები წინ მიუძღოდნენ სტუმრებს ტექნიკურ მეცნიერებათა დარგის ლაბორატორიებსა და სახელოვნოებში, პიონერული მუშაობის ოთახებში, მხარეთმცოდნეობა და ნორჩ ნატურალისტთა კაბინეტებში, თევზინების თეატრის დარბაზში, რომელიც 200 მყურებელს იტევს, სარკეებიან დარბაზში, სადაც 350-ზე მეტ მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებაში. სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტული დარბაზები და მოედნები, კიდევ სხვა მრავალი რამ, და იცნ, ისინი პატარა მასხინძეებმა თეატრალური დარბაზში შეიყვანეს.

ტრიუბუნაზე ნორჩი პიონერი მეგობრად კანდილაკი. „თბილისის პიონერთა სასახლე“ — ამთავრების იგი თავის სიტყვას, — კომუნისტური პარტიისა და მთავრობის იმ დიდი შრომუნელობის გამოხატულებაა, რომლითაც გარემოცულნი ვართ ჩვენ, დაიდა საბჭოთა ქვეყნის ბავშვები“.



თბილისის პიონერთა სასახლე.

და მართლაც, პიონერთა სასახლე 15 წლის მანძილზე ბავშვთა კომუნისტური სულიერებით აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა. 15 წლისთავზე, სასახლის კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების რიცხვი 48-მდე გაიზარდა. ახლა სასახლის 400 სხვადასხვა წრეში 7.000-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს.

მამინდელი პიონერები, სასახლის საზეიმო გახსნის მოწმენი, დღეს კომუნისტები იგონებენ, რომ პიონერთა სასახლის საზეიმო გახსნაზე სტუმრად ჩამოვიდნენ უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნორჩ პიონერთა დელეგაციები. კიცივის პიონერთა სასახლის სახელით თბილისელ პიონერებს მისაღოცი სიტყვით მიმართა ნორჩმა პიონერმა ოლეგ გალიტამ; კიციველი პიონერების სახელით მან სასახლეს უკრაინული ნაციონალური კოსტუმები გადასცა. თბილისელებს მისაღმებებით მიმართეს ბაქოელები ი. რაგიმოვმა და ერევნელმა ა. მანველიანმა.

შემდეგ ნორჩი მასხინძეები და სტუმრები სასახლის სპორტული მოედნისაკენ გაემართნენ, სადაც პიონერული კოცონის გარშემო მთელ დაბაშის არ დამტყდნენ მხიარული თვილი-ხეილი და ცეკვა-თამაში.

ასე გაატარეს პირველი დღე თბილისელმა პიონერებმა და მათმა საპატრიო სტუმრებმა ნორჩ პიონერთა საქალაქო შტაბში.

3. სპორტი არმილებში

პიონერთა სასახლის საზეიმო გახსნიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხა ფაშისტური გერმანიის ჯარები. სასახლის ნორჩმა პიონერებმა თავისებური საბრძოლო ნათლობა მიიღეს დიდი სპაშელო ომის დროს. სასახლესში შეიქმნა „ნორჩი არმილითა კორპუსი“, რომელიც თავის რიგებში ქალაქის 10.000-ზე მეტ პიონერს აერთიანებდა.

ომის დღეებში სასახლის ნორჩმა არმილებმა 150 ტონა შავი ლითონი და 15 ტონა ფერადი ლითონი შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩაბარეს ფრონტისათვის. ნორჩმა არმილებმა კულნარია მარველავილიძე თავისი რაზმით 25 ტონა ლითონის ჯარით შეაგროვა; ნორჩმა ნატურალისტებმა კი სახელმწიფოს 8.000 კილოგრამი საკურნალო მცენარეები გადასცეს.

4. სამეტაკლები, დილაები, შესვლა



ნორჩი ნატურალისტები სასახლის საცდელ ნაკეთზე აწარმოებენ ხელოვნურ დაბტევას.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ უფრო მეტი შესაძლებლობა მიიღო თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. სასახლის სხვადასხვა წრის წევრები ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების შედეგად იღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. წრები ახორციელებენ სკოლასთან მჭიდრო კავშირს. არც ისევედ შენ, ასწავლენ სხვასაც! ასეთია სასახლის ნორჩ პიონერთა დევიზი. და მართლაც, პიონერებს სასახლის ნორჩ პიონერთა დევიზის შობილიერი სკოლის ცხოვრებაში გადაკეთ.

სასახლის ნორჩ პიონერთა შეიდათასიანი კოლექტივი განსაკუთრებულ საუყარულს მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას იძენს. მასობრივ ღონისძიებათა მომზადების დროს პიონერები იძენენ ახალს, იმუშავებენ შრომის ჩვევებს, ისვენებენ გონივრულად.

პიონერთა საუყარული საქმეა ლიტერატურული დილა-ღამეები, გონივრული ვართობანი, ნორჩ კვიციოსთა, ნატურალისტთა, გეოგრაფთა შეხვედრები ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ აღმანებთან, დრამატული კოლექტივებისა და თარგმანების თეატრის სექცილები, პიონერული ზეიმები, კარნავალები, ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადები, რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები. სასახლემ თავისი არსებობის მარტო პირველ ათწლიურ წელში 25.000 ღონისძიება ჩატარა და დაახლოებით ორნახევარ მილიონამდე პაუშს მოემსახურა. შემდგომ ხუთწლიელში მასობრივ ღონისძიებათა რიცხვი ერთნახევარჯერ გაიზარდა და მომსახურებულ პაუშეთა რიცხვმა თითქმის ოთხ მილიონს მიადწია.

5. პიონერული მუშაობის ფაზები

პიონერული და მასობრივი მუშაობის განყოფილება სასახლეში პიონერული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანია, რომელსაც ხშირად პიონერული მუშაობის შტაბსაც უწოდებენ.

თითქმის დღე არ გავა, რომ განყოფილებაში წერილი არ შემოვიღებს. წერილები მოდის მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, გორკიდან, შორეული იაკუტიდან და კიდევ ბევრი

დღე არ გავიღოდა, რომ ნორჩ არმიელთა რაზმებს ახალი სასარგებლო საქმეები არ ჩადენიათ. ნორჩი პიონერების — ერთი ჯანაზიშვილისა და თამარ ბარათაშვილის ინიციატივით სასახლის 200 პიონერი გოგონა თბილი ხელთათმანებისა და წინდების ქსოვას შეუდგა. ნორჩ არმიელთა რაზმები, რომლებსაც ხშირად თემურელთა რაზმებსაც უწოდებდნენ, დღე დაღმარებას უწევდნენ ფრონტელთა ოჯახებს.

სასახლის მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით არაერთი კონცერტი და წარმოდგენა გამართულა სამხედრო მოსპიტლებში.

აი, რას სწერდა პიონერი ვ. დოლობერიძე ომში წასულ ვეკაცს: „გამარჯობათ ძვირფასო მეზობლო! რომ იცოდეთ, როგორ მინდა თქვენსავით ვიყო ფრონტზე, სანტრად მაინც. მაგრამ ჩვენი რაზმის მეთაურმა გვიხიბრა, რომ თითოეული წევრგანი ფრონტს ეხმარება იქ, სადა მას ნამდვილად უნარი შესწევს სასარგებლო საქმე გააკეთოს. ჩვენც ვეხმარებით ფრონტს... ვაგროვებთ ლითონის ჯარბთ, გვადვირათ საკომლემენტური მინდვრებზე სამუშაოდ. ვისურვებთ მტერზე გამარჯვებას!

ჩვენი მისამართია: თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ნორჩ არმიელთა ნაკრები პატალიონი“.

დღე არ გავიღოდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის განვითარების ფურცლებზე საფრონტო ცნობებთან ერთად ასეთი ცნობები არ გამოქვეყნებულა: „პიონერთა სასახლის ნორჩმა არმიელთებმა დანაწოვი ფულით 1013 მტერი თიერი ქსოვილი იყიდეს და ფრონტელებისათვის 170 წყვილი საცვალი შეკრეს“... „სასახლის აქტივისტებმა შეაგროვეს 1.200 ცალი წაშლის ქურქელი და სამკურნალო მცენარეები“... და მრავალი სხვა.

„მშობლების მიერ ნაჩუქარ ფულს თავს ვუყრიდით და ასე შევიძინეთ თქვენთვის გამოგზავნილი საჩუქრები“... წერდნენ სასახლის ნორჩი არმიელები მტერთან საბრძოლველად გასულ ვაჟკაცებს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სასახლის ნორჩმა პიონერებმა ძალია არ დაწოვეს იმისათვის, რათა თვითონაც შეეტანათ წვლილი საძილველ მტერზე გამარჯვების საქმეში. ნორჩმა არმიელთებმა მალე მუშაობის საომარი ყიიდა სამშვიდობო, ხალისიანი შრომა-საქმიანობით შეცვალეს.



ხეზე ქრის ნორჩი ოსტატები კაკლისის ძირისაგან ჰკვეთენ პიონერთა სასახლის მოდელს.

სხვა ქალაქიდან. წერილები მოდის დემოკრატიული ქვეყნებიდან. აი, წერილი ბულგარეთიდან, რომელშიაც ქალაქ ლომაში პიონერები წერდნენ იმის შესახებ, რომ მათ გადაწყვიტეს ჩეატარებათ პიონერული შეკრება თმსზე: „სამკოთა პიონერების ბედნიერი ბავშვობა“. ბულგარელი პიონერები თხოვდნენ შეგობრებს მიეწერათ მათთვის, თუ როგორ ცხოვრობენ ქართული პიონერები, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს პიონერთა სასახლეში. პიონერული განყოფილების აქტივობებმა სიხარული შეუსრულეს თხოვნა და საქაროდ გაუგზავნეს სასახლეო წერილი, სადაც სწერენ, რომ პიონერთა სასახლეში ყველა პირობა შექმნილია პიონერთა ცოდნის ამაღლებასა და დახვეწებისათვის. ჩვენთან, პიონერთა სასახლის პიონერული აქტივის ოთახში, საინტერესო მუშაობას ეტარებთ. აქ ჩვენ ვეცნობით ქალაქის რაზმეულების, რაზმებისა და რგოლების მუშაობაში დაგროვილ გამოცდილებას. ჩვენ შეგვიძლია აქ მივიღოთ კონსულტაციები პიონერული მუშაობის ყველა საკითხზე. პიონერთა ოთახის პედაგოგთა დახმარებით ვატარებთ საინტერესო შეკრებებს, პიონერულ კონკურსებს, მქსკურსიბებს, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებს, საორტულ შეჯიბრებებს...“



ლაპარაკობს პიონერთა სასახლის რადიოცენტში.

ერთ დღეს პიონერებმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენიდან ჩეხ გოგონა ინდრა შოლკოვასაგან წერილი მიიღეს, რომელშიაც ძალზე დიდი მხიარულება გამოიწვია. აი რას წერდა ჩეხი გოგონა: „მე ვსწავლობ მეშვიდე კლასში. ვსწავლობ კარგად — სულ იურიანიენები“ და „იურიანიენები“ მქვს. ჩვენთან „იურიანიენები“ და „იურიანიენები“ ყველაზე კარგი ნიშნებია...“

პასუხის დაწერა პიონერებმა მინი თავზივმდოს დაავალეს; მანაც არ დააყოვნა და მისწერა:

„ინდრა! ძალიან გამეხარა, რომ პიონერთა სასახლის აქტივობებშია მე დაწავალეს პასუხის გამოგზავნა. მეც კარგად ვსწავლობ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სულ „იურიანიენები“ და „იურიანიენები“ მქვს...“

სასახლის პიონერები მრავალი ახალი საინტერესო საქმის წამოწყებების არიან. ამ რამდენიმე ხნის წინათ გარშემოხსენდნენ მივიდნენ და კითხულობდნენ გავით „პიონერსკია პრავდეს“ ახალ ნომერში. უცბად გურამ გოგაშვილმა წამოიძახა: — მასწავლებელი, ნახეთ რა საინტერესო წერილია, ამის გაკეთება ხომ ჩვენც შეგვიძლია! — გავითის ახალი ნომერი ბავშვებს მოუთხოვროდა, რომ მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის

პიონერებმა 12 000 კილოგრამი ქაღალდის მაკულატურა შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩააბარეს. გურამმა და მისმა აზხანაგებმა გამოიანგაროვეს, რომ 1 ტონა ქაღალდის მაკულატურისაგან შეიძლება დამზადდეს 21 000 ცალი რვეული. ვახარებულმა ბავშვებმა დაასკვნეს, რომ სასახლის პიონერებსაც შეუძლიათ ასეთი სასარგებლო საქმის გაკეთება. სიტყვის საქმე მოჰყვა — სასახლის პიონერებმა სულ ერთ თვეში 18 000 კილოგრამი ქაღალდი შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩააბარეს.

ნ. ნორჩი მხარეთმცოდნეები

მხარეთმცოდნეობით მუშაობაში ჩაბმული არიან სასახლის ნორჩი ისტორიკოსები, ლიტერატორები, გეოგრაფები და ნატურალისტები. ნორჩი მხარეთმცოდნეები მთელ ახლის ძიებაში და კვლევაში არიან. დღე არ გავა, რომ სალი ინციპიტივით რაიმე საინტერესო ექსკურსია არ მოეწყოს ქალაქში და ქალაქგარეთ, რესპუბლიკაში და რესპუბლიკის გარეთ. მაგრამ არის დღეები, როცა მხარეთმცოდნეები კაბინეტებიდან არ ეღებია, მაგრამ მათი მოგზაურობა გრძელდება... ამ შემთხვევაში ნორჩი მხარეთმცოდნეები სამშობლოს სწავლობენ რუკით, ჩვენი დაილი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის პიონერებთან მიმოწერით. პიონერები დიდი გულისკუთხით აშაღებენ ფარებსა და სტენდებს, სადაც წარმოდგენილია მათი შთაბეჭდილობები, ექსკურსიების დროს გაკეთებული ჩანაწერები და ჩანახატები. აქ ყველა თავისი საქმიანობა გართულდა; ნორჩი გეოგრაფები ჩაჰყიტიბებენ კონტურულ რუკებს, აღგენენ რუკას, რომელიც ჩვენი ქვეყნის 1060 წელს ასახავს; ნორჩი ლიტერატორები ფოლკლორით არიან გატაცებულნი, ისტორიკოსები ჩვენი ქვეყნის წარსულითა და აწმყვით.

ნორჩ მხარეთმცოდნეებს ბევრი საინტერესო მოგზაურობა აქვთ ჩატარებული რესპუბლიკის გარეთ. აი, მათი მარშრუტები: თბილისი — მოსკოვი — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგადონის არხი — როსტოვი — თბილისი; თბილისი — ბათუმი — შავი ზღვის სანაპირო — ოდესა — კიშინიოვი — თბილისი; თბილისი — მოსკოვი — ლენინგრადი — თბილისი... და სხვა მრავალი. ახლა კი შთაბეჭდილობებით აღსავსე მათი ჩანაწერები კაბინეტების სტენდებსა და ფარებს აწმყენებს.



ლიტერატურის კაბინეტი.



8. ოთხმოცდაათიათასი

80.000! აი, ციფრი სასახლის შესანიშნავი ბიბლიოთეკის წინააღმდეგ ფონდისა. აქ დღემდე საღამომდე წიგნების ჩუმ შროაი იმისი. რა წყნს არ იმოყნო სასახლის ამ მდიდარ ბიბლიოთეკაში. ზოგი მხატვრულ ლიტერატურას ეტანება, ზოგი ტექნიკურს. ბიბლიოთეკაში არც უფრნალ-გაწეუტება ცოტა. 75 სხვადასხვა სახეობების უფრნალსა და გაწევის იმოყნო აქ. წელს კი ბავშვებსა ახალი საწყურტებს მიიღეს: ბიბლიოთეკის მოდის პიონერული უფრნალ-გაწეუტები მოძე დემოკრატული ქვეყნებიდან. პიონერებს უყვარს წიგნი და გატაცებით ეწაუტებიან ცოდნის წყაროს...

7. ნორჩი ნატურალისტები

